

სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნის შესახებ

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დაინიშნოს არჩევნები 2020 წლის 6 თებერვალს.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ 4 წლის ვადით.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა.
4. კანდიდატებმა განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა შეიტანონ 2020 წლის 23 იანვრიდან 30 იანვრამდე ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში (სტუ-ს I სასწავლო კორპუსი IV სართული, ოთახი №419). შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა.
5. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;
 - ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;
 - CV;
 - სამოქმედო გეგმა.